

ინფორმაცია ნებაყოფლობითი დაბრუნების და სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ

<p>ადგილსამყოფელი/ აკრედიტაციის სახელმწიფოს დასახელება</p>	<p>კორეის რესპუბლიკა</p>
<p>ნებაყოფლობითი დაბრუნების და სარეინტეგრაციო პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაცია/ უწყება</p>	<p>კორეის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო; კორეის საიმიგრაციო სამსახური; ზოგადი ფუნქციით – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კორეის წარმომადგენლობა</p>
<p>ნებაყოფლობითი დაბრუნების და სარეინტეგრაციო პროგრამების სახელწოდება</p>	<p>ცალკე პროგრამა არ ფუნქციონირებს. კორეის რესპუბლიკის მთავრობას კანონმდებლობით დადგენილი აქვს შეღავათები იმ უცხოელებისათვის, რომლებიც არალეგალურად იმყოფებიან კორეის ტერიტორიაზე და ქვეყნის საზღვრებს დატოვებენ ნებაყოფლობით.</p>
<p>პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების ფორმა</p>	<p>უცხოელს, რომელიც არალეგალურად ცხოვრობს ან მუშაობს კორეის ტერიტორიაზე და ნებაყოფლობით გამოცხადდება კორეის საიმიგრაციო სამსახურში:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ არ დაეკისრება საჯარიმო გადასახადი; ➤ არ დაექვემდებარება პატიმრობას ან თავისუფლების სხვაგვარ აღკვეთას/შეზღუდვას; ➤ არ შეეხება ქვეყანაში შესვლაზე აკრძალვის 10-წლიანი ვადა (აღნიშნული დამოკიდებულია არალეგალურად ცხოვრების ვადაზე, თუმცა ნებაყოფლობითი დაბრუნების დროს აკრძალვის პერიოდი არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წლის ვადას); ➤ საიმიგრაციო ისტორიაში დადებითად ჩაეთვლება დაბრუნების ფაქტი, რაც გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კორეის რესპუბლიკის ვიზაზე განაცხადის წარდგენისას.
<p>დახმარების მიმღები სამიზნე ჯგუფები</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ კორეის რესპუბლიკაში უკანონო საფუძვლებით მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე ➤ კორეის რესპუბლიკაში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც უკანონოდ არის დასაქმებული

<p>პროგრამის მოქმედების (განხორციელების) პერიოდი</p>	<p>პროგრამები პერიოდულად ცხადდება კორეის საიმიგრაციო სამსახურის ვებგვერდზე. ამჟამად მოქმედი პროგრამების ვადებია: 1 ოქტომბერი, 2018 – 31 მარტი, 2019.</p>
<p>ნებაყოფლობითი დაბრუნების და სარეინტეგრაციო პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციის/ უწყების საკონტაქტო ინფორმაცია</p>	<p><u>კორეის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო</u> მისამართი: Bld #1, Government Complex-Gwacheon, Jungang-dong1, Gwacheon, Gyeonggi-do, Republic of Korea ტელეფონი: (+82) 02-2110-3000 ფაქსი: (+82) 02-2110-3079</p> <p><u>კორეის საიმიგრაციო სამსახური</u> მისამართი: Bld #1, Government Complex-Gwacheon, 47, Gwanmun-ro, Gwacheon, Gyeonggi-do, Republic of Korea ტელეფონი: (+82) 02-6908-1345 ვებგვერდი: www.immigration.go.kr</p> <p><u>მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კორეის წარმომადგენლობა</u> მისამართი: Rm 1301, 13F, Hyoryeong Bd. 32 Mugyoro Jung-gu, Seoul, Republic of Korea ტელეფონი: (+82) 02-6925-1360 ფაქსი: (+82) 02-6925-1361 ელ-ფოსტა: iomseoul@iom.or.kr ვებგვერდი: www.iom.or.kr</p> <p><u>ნებაყოფლობით დაბრუნების მსურველთათვის ცხელი ხაზი</u> საერთო: (+82) 1588-7191 ინჩონის აეროპორტი: (+82) 032-740-7391-2 ინჩონის საზღვაო პორტი: 032-891-9925, 032-8777-9941 სეულის გიმპოს აეროპორტი: 02-2664-6202 ბუსანის გიმპეს აეროპორტი: 051-979-1300</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია/ შენიშვნა</p>	<p>ზემოხსენებული პროგრამა გულისხმობს არალეგალური სტატუსის მქონე და ნებაყოფლობითი დაბრუნების მსურველი უცხოელის სამართლებრივ დახმარებას. კორეის რესპუბლიკა არ უზრუნველყოფს ამგვარი პირებისათვის ავიაბილეთების შეძენას ან სხვაგვარ ფინანსურ შემწეობას.</p>